<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 99-ე მუხლის პირველ ნაწილს „შ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჩ“ - „ძ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩ) 2026 წლის 1 იანვრამდე ეროვნული მაუწყებლობის განმახორციელებელი მაუწყებლის მიერ რადიო- და ტელესამაუწყებლო საქმიანობის ან/და სარეკლამო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული მოგება (მოგების განაწილება);

ც) 2029 წლის 1 იანვრამდე ადგილობრივი მაუწყებლობის განმახორციელებელი მაუწყებლის მიერ რადიო- და ტელესამაუწყებლო საქმიანობის ან/და სარეკლამო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული მოგება (მოგების განაწილება);

ძ) 2029 წლის 1 იანვრამდე ბეჭდვითი ან/და ელექტრონული ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემისა და რეალიზაციის ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული მოგება (მოგების განაწილება).“.

2. 170-ე მუხლის პირველ ნაწილს „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) 2026 წლის 1 იანვრამდე ეროვნული მაუწყებლობის განმახორციელებელი მაუწყებლის რადიო- და ტელესამაუწყებლო ან/და სარეკლამო მომსახურება და მიწოდება;

ფ) 2029 წლის 1 იანვრამდე ადგილობრივი მაუწყებლობის განმახორციელებელი მაუწყებლის რადიო- და ტელესამაუწყებლო ან/და სარეკლამო მომსახურება და მიწოდება.“.

3. 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სეს ესნ 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (ჟურნალების, გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების გაწევა, ან/და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და მათ მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**